# გაუმარჯოს

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№86 (5116)

1974 წ. 1 მაისი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან






## VIII ადგილიდან ვერცხლის მედლებამდე

ლენინგრადი, 30 აპრილი. გუშინ ადგილობრივ სპორტის სასახლე „იუბილეინიში" საზეიმოდ დაიხურა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა 41-ე ჩემპიონატი.

ტურნირის ბოლო ეტაპის ჭეშმარიტი ტრიუმფატორია სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი რიგის ტტტ, რომელმაც ექვსივე შეხვედრა მოიგო, მათ შორის ახალ ჩემპიონთან, ლენინგრადის „სპარტაკთან". ლატვიელმა კალათბურთელებმა სუსტად დაიწყეს ჩემპიონატი. ერთ პერიოდში ისინი VIII ადგილზეც კი იყვნენ, მაგრამ მერე მკვეთრად გამოასწორეს მდგომარეობა და საბოლოოდ ვერცხლის მედლებს დაეპატრონენ.

41-ე ჩემპიონატი წარუმატებელი გამოდგა მოსკოვის ორი გუნდისთვის — „სერპ ი მოლოტისა" და „სპარტაკისთვის". ამ კლუბებმა შესაბამისად XI და XII ადგილები დაიკავეს და გაისად I ლიგაში ითამაშებენ. მათი ადგილები უმაღლეს ლიგაში დაიკავეს დნეპროპეტროვსკის „სტალმა" და ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა.

გთავაზობთ ბოლო შეხვედრების შედეგებს: „კიბირკშტისი" — „სპარტაკი" (მოსკოვი) 64:54 (38:32), „ბურევესტნიკი" — „სერპ ი მოლოტი" 72:70 (33:37), „სტროიტელი" — „დინამო" (მოსკოვი) 71:69 (26:32), „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „უნივერსიტეტი" 99:69 (52:31), ტტტ — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 65:52 (32:20), „ურალმაში" — „დინამო" (კიევი) 75:69 (40:27), „უნივერსიტეტი" — „სპარტაკი" (მოსკოვი) 78:58 (40:32), „სერპ ი მოლოტი" — „სტროიტელი" 90:81 (47:52), „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „კიბირკშტისი" 78:71 (44:37), „დინამო" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" 87:52 (49:25).

გათამაშების საბოლოო ცხრილი 33 მატჩის შემდეგ:

| | ქ. |
|---|---|
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 27 |
| ტტტ (რიგა) | 25 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 25 |
| „სპარტაკი" (მოსკ. ოლქი) | 24 |
| „დინამო" (კიევი) | 21 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 20 |
| „უნივერსიტეტი" (ალმა-ათა) | 13 |
| „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) | 13 |
| „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) | 9 |
| „სტროიტელი" (ფრუნზე) | 8 |
| „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) | 7 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 6 |

## მალალაშვილის ორი პრიზი



II ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო პირველობა წლეულს ორ წრედ ჩატარდა. თავდაპირველად ტურნირის მონაწილე კოლექტივები (თბილისის „ბურევესტნიკი", მოსკოვის „ალმაზი", ტალინის „ეხიტაია", ხარკოვის „სტროიტელი", ბაქოს აზინხ-ი, დუშანბეს „დინამო", ფრუნზეს „პოლიტექნიკი" და აშხაბადის „დინამო") ფრუნზეში შეხვდნენ ერთმანეთს. II წრის მატჩები კი ამას წინათ ტალინში დამთავრდა.

პირველი წრის შემდეგ ლიდერთა სამეული ასეთი იყო: „ალმაზი", „სტროიტელი" და „ბურევესტნიკი". II წრეშ ლიდერთა მდგომარეობა შეცვალა. დაწინაურდა ესტონეთის გუნდი, რომელიც საბოლოო ჯამში I ადგილზე გავიდა. II ადგილზე გადაინაცვლა მოსკოვის „ალმაზმა". სამმა კოლექტივმა — თბილისის „ბურევესტნიკმა", ხარკოვის „სტროიტელმა" და ფრუნზეს „პოლიტექნიკმა" ერთნაირი ქულები დააგროვეს. ამიტომაც მათ III-V ადგილები გაიყვეს.

საკავშირო სპორტკომიტეტს განზრახული აქვს I ლიგის გუნდების რაოდენობის ოცამდე გაზრდა. თუ ეს განხორციელდა, მაშინ II ლიგის საკავშირო პირველობაში პირველ ხუთ ადგილზე გასული კოლექტივები გაისად I ლიგაში იასპარეზებენ.

ტალინის ტურში დაწესებული იყო რამდენიმე სპეციალური პრიზი. ორი მათგანი — საუკეთესო თავდამსხმელისა და ყველაზე შედეგიანი მოთამაშისა — მიიღო თბილისის „ბურევესტნიკის" კაპიტანმა ს. მალალაშვილმა. იგი მართლაც საუკეთესო იყო ამ ასპარეზობაში, უნარიანად ხელმძღვანელობდა თანაგუნდელთა თამაშს და დიდი წვლილი შეიტანა თავისი კოლექტივის წარმატებაში. ტალინში გამართულ შვიდ მატჩში მალალაშვილმა გუნდს 165 ქულა შესძინა.

თბილისის „ბურევესტნიკის" შემადგენლობაში იყვნენ: ს. მალალაშვილი, ნ. ქეიშვილი, შ. იაქაშვილი, ზ. სულავა, თ. მაგრაქველიძე, ა. ღიბრაძე, ბ. სევასტიანოვი, ვ. ტანია, ვ. ქარსელაძე, ზ. ხიდაშელი, მ. ასათიანი, ვ. ქუთათელაძე (მწვრთნელი ი. მირიანაშვილი).

• • •

სურათზე: ს. მალალაშვილი.

## 59,40

საქართველოს მოსწავლეებმა საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადება კარგა ხანია გააჩაღეს და ახლა ძალებს სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში ამოწმებენ. მძლეოსნები ამას წინათ ლესელიძეს ესტუმრნენ. აქ მათ რამდენიმედღიანი შეკრება ჩაატარეს, ორი შეჯიბრებაც გამართეს და რამდენიმე საიმედო შედეგიც მოიპოვეს.

თბილისის 156-ე სკოლის მეათეკლასელმა მოსწავლემ დ. წოწკოლაურმა, რომელსაც ო. ოდიშვილი ავარჯიშებს, ურო 59,40 მეტრზე ტყორცნა და 30 სანტიმეტრით გააუმჯობესა უფროსი ასაკის ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი, რომელიც შარშანდლიდან გ. ელიაშვილს ეკუთვნოდა.

დედაქალაქის 52-ე სკოლის მეათეკლასელმა მოსწავლემ ა. ნეკრასოვმა 800 მეტრი 1 წუთსა და 56,8 წამში გაირბინა, რითაც უფროსთა პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

თავი გამოიჩინა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის დ. ბეთლემიძის აღსაზრდელმა, თბილისის 113-ე სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლემ კ. ნოზაძემაც — 195 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო და I თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

ბირთვის კვრაში კარგი შედეგი აჩვენა სოფელ ჯორჯიაშვილის ბოგვის საშუალო სკოლის მეათეკლასელმა მოსწავლემ ვ. სუხიტაშვილმა — 14,67 მ. 400 მეტრზე რბენაში თავი გამოიჩინეს თბილისელმა მოსწავლეებმა ა. ხრომოვმა (51,2), ნ. ოდინეცმა (51,3) და გოგონებში უძლიერესმა ა. კლოკარმა (59,5).

## მარცხი ფინალში

ნიუ იორკი, 29 აპრილი. მოსკოველი ო. მოროზოვა და თბილისელი ა. მეტრეველი ჩინებულად გამოვიდნენ ფილადელფიასა და სენტ-ლუისში ჩატარებულ ჩოგბურთელთა დიდ საერთაშორისო ტურნირებში. მოროზოვამ საინტერესო ბრძოლაში სძლია „ჩოგბურთის დედოფალს", ამერიკელ ბ.-ჯ. მოფიტს (კინგი) — 6:1, 6:1. როგორც სპორტული მიმომხილველები წერენ, უიმბლდონის ტურნირში არაერთგზის გამარჯვებული ძალიან დაიქანცა პირველი პარტიის შემდეგ და მეორეში თითქმის შეწყვიტა წინააღმდეგობა. ფინალამდე მოროზოვამ დაამარცხა ცნობილი ჩოგბურთელები, მასპინძელი რ. კაზალსი (ნახევარფინალში) და ავსტრალიელი მ. ზორლი (მეოთხედფინალში).

მეტრეველმა მეოთხედფინალში მოუგო ძლიერ ავსტრალიელ ჩოგბურთელს რ. კეისს, შემდეგ კი აჯობა უიმბლდონის ტურნირების მრავალგზის გმირს, ავსტრალიელ ჯ. ნიუკომბს — 3:6, 6:4, 6:4. მეტრეველმა მხოლოდ ფინალურ მატჩში იწვნია მარცხი, როცა მას მოუგო ამერიკელმა ს. სმითმა, შარშანდელი საერთაშორისო ტურნირების შედეგების მიხედვით უძლიერესად აღიარებულმა ჩოგბურთელმა — 6:2, 3:6, 6:2.

## ახალი ამბავი-74

● ოდესა, 29 აპრილი. აქ მიმდინარეობს საკავშირო შეჯიბრება ბატუტზე ხტომაში სსრ კავშირის მფრინავ-კოსმონავტ გ. დობროვოლსკის პრიზზე. ტურნირის დებიუტანტმა უფროს სპორტსმენთა შორის, 16 წლის ვორონეჟის სპარტაკელმა ს. ლევინამ გაიმარჯვა ინდივიდუალურ ხტომაში. ვაჟთა შორის პირველი იყო კრასნოდარის სპარტაკელი ე. იანესი.

● სევასტოპოლი, 29 აპრილი. აფროსანთა საკავშირო ასპარეზობაში თავი ისახელა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, კიეველმა ვ. მანკინმა. იგი I ადგილზე გავიდა „ტემპესტის" კლასის იახტებით შეჯიბრებაში. დანარჩენ კლასებში გაიმარჯვეს: დნეპროპეტროვსკელმა ვ. გუსენკომ („მფრინავი ჰოლანდიელი"), მასპინძელმა რ. ბერდაშმა („ფინი"), საქართველოს წარმომადგენელმა ა. ახუბამ („ტორნადო"), ტალინელმა ა. ჩუჩელოვმა („სოლინგი") და ოდესელმა ვ. ივნატენკომ („470").



ეროვნული ბიბლიოთეკა









ამას წინათ იუგოსლავიის ქალაქ ნოვი-სადში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა გუნდურ შეჯიბრებაში ჩემპიონობა დაისაკუთრა. ფინალში საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 3:1 სძლიეს უნგრეთის ეროვნულ გუნდს.

აი, ისინიც — კონტინენტის ჩემპიონები: მარცხნიდან — ზ. რუდნოვა, ს. ფიოდოროვა (ორივე — მოსკოვი), ა. გედრაიტიტე (კაუნასი) და ე. ანტონიანი (ერევანი).

ვ. ბაღდასარიანისა (საქდეპი) და გ. ახალაძის ფოტოები.

# სარბიელზე არიან მოსწავლეები

სპორტის ზოგიერთი სახეობა ნორჩი ფიზკულტურელების განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს. ამიტომ სკოლებში უფრო ხშირად სწორედ ამ სახეობებში ეჯიბრებიან ერთმანეთს.

აი, რას გვწერენ ამ შეჯიბრებების შესახებ:

ლანჩხუთში გაიმართა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ტანვარჯიშში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში.

ტანვარჯიშში მონაწილეობდნენ 14 საშუალო და რვაწლიანი სკოლის გუნდები. გოგონათა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს: უმცროს და საშუალო ასაკის ჯგუფებში — 1-ლი საშუალო სკოლის სპორტსმენებმა, უფროსი ასაკის ჯგუფში — მე-2 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა. ჭაბუკთა ტურნირში გაიმარჯვეს: უმცროსი ასაკის ჯგუფში — ლანჩხუთის ქართული რვაწლიანი სკოლის გუნდმა, საშუალო ასაკის სპორტსმენთა შორის — რუსული რვაწლიანი სკოლის წარმომადგენლებმა, უფროსი ასაკის ჯგუფში — 1-ლი საშუალო სკოლის ტანმოვარჯიშეებმა.

მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირში 23 გუნდი მონაწილეობდა. გოგონათა შეჯიბრებაში პირველობა დაისაკუთრა ჩიბათის სკოლის გუნდმა, ჭაბუკთა შორის კი ყველას აჯობა 1-ლი საშუალო სკოლის კოლექტივმა.

ჭადრაკში გოგონათა შორის ჩემპიონობა მოიპოვეს 1-ლი, ჭაბუკთა შორის — მე-2 საშუალო სკოლების წარმომადგენლებმა.

**გ. წილოსანი,**
ლანჩხუთის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

წყალტუბოში დამთავრდა მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთსა და ჭადრაკში.

კალათბურთელ გოგონათა შორის პირველობა არავის დაუთმო ქალაქის მე-3 საშუალო სკოლის კოლექტივმა, ჭაბუკთა შორის კი — რუსული საშუალო სკოლის გუნდმა.

ფრენბურთში უძლიერესი აღმოჩნდნენ რუსული საშუალო სკოლის ვაჟთა და გოგონათა გუნდები.

მოჭადრაკეთა ტურნირში, რომელშიც 18 გუნდი მონაწილეობდა, I-II ადგილები გაიყვეს ქალაქის 1-ლი და სოფელ ქვიტირის საშუალო სკოლების მოჭადრაკეებმა.

**მ. ბითაძე,**
წყალტუბოს ბავშვთა სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

ზალის რაიონის მოსწავლეთა პირადგუნდურ პირველობაში მოჭადრაკეთა 20 კოლექტივი მონაწილეობდა. ჭაბუკთა შორის გაიმარჯვა ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის კოლექტივმა (ზ. სოფია, მ. ხორავა, ვ. აქუბარდია), გოგონებს შორის — 1-ლი საშუალო სკოლის გუნდმა (კ. ომოლაძე, ფ. ჯანჯღავა).

უმცროსი ასაკის ტურნირში გაიმარჯვა 6 წლის თ. ბიგვავამ, უფროსი ასაკის ჯგუფში — პირველთანრიგოსანმა ვ. ქავთარაძემ, მეორე იყო ზ. სოფია. გოგონათა შორის ჩემპიონი გახდა აფხაზეთის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე, პირველთანრიგოსანი კ. ომოლაძე.

შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა რაიონის ნაკრები გუნდი.

**გ. ჯეჯეია,**
შეჯიბრების მსაჯი.

სიღნაღში გაიმართა რაიონის პირად-გუნდური პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში 7 სკოლის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. გოგონათა შორის უძლიერესი იყო ს. სულხანოვა, ბიჭებში — ა. გოგოსაშვილი (ორივე — სიღნაღის საშუალო სკოლა).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა სიღნაღის საშუალო სკოლამ.

**თ. ბეჟაშვილი,**
სიღნაღის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.

გურჯაანში დიდი ინტერესი გამოიწვია რაიონის მოსწავლეთა ჩემპიონატებმა ჭადრაკში. ჭაბუკთა ტურნირში, რომელშიც 32 მოსწავლე მონაწილეობდა, I ადგილი სოფელ ბაკურციხის საშუალო სკოლის წარმომადგენელმა ბ. მეჟაშვილმა დაიკავა. გოგონათა შეჯიბრებაში, რომელშიც მხოლოდ 9 მოჭადრაკე ჩაება, უძლიერესი აღმოჩნდა სოფ. მახარაძის სკოლის მესამეკლასელი ნ. გეთიაშვილი.

**გ. სირბილაშვილი.**

# გულახდილი საუბარი

პრობლემები კალათბურთში, ისევე როგორც სპორტის სხვა სახეობებში, მუდამ არსებობს. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომლის სწორად გადაჭრაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კალათბურთის უახლოეს მომავალს და მის შორეულ პერსპექტივებს, მდგომარეობს შემდეგში: როგორ უნდა შეფასდეს ქართული კალათბურთის დღევანდელი მდგომარეობა? სამწუხაროდ, ამ საკითხის გარშემო ერთიანი აზრი არ არსებობს, ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები კი ობიექტური სურათის შესაქმნელად დამატებით სირთულეს წარმოქმნიან.

მაგალითად, სპეციალისტთა ერთი ნაწილის აზრით, დღესდღეობით საგანგაშო არაფერია და არც ერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხის დადებითად გადაჭრა ძნელი არ არის. მაგრამ ზოგი კალათბურთის ჩიხიდან გამოსაყვანად სწრაფ და ოპერატიულ ნაბიჯებს მოითხოვს.

თვით ფაქტი ასეთი პრობლემის არსებობისა, უსიამოვნო აღიარებაა, მაგრამ ჩიხი, სამწუხაროდ, მართლაც არსებობს, ისევე როგორც არსებობს შექმნილი მდგომარეობიდან დაღწევის კონკრეტული გზები. აი, სწორედ ამ გზების გარკვევას, ამ პრობლემების დასმასა და გადაჭრას მიეძღვნა კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის ამასწინანდელი საანგარიშოსაარჩევნო პლენუმი.

პლენუმის მონაწილეებმა ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოთქვეს. იყო გულახდილი საუბარი ფედერაციის საქმიანობაზე განვლილ შვიდწლიან (და არა დებულებით განსაზღვრულ ოთხწლიან) პერიოდში. სიტყვით გამოსულებმა სავსებით სამართლიანად გააკრიტიკეს პრეზიდიუმი მოუქნელი მუშაობისთვის და მისი ახალი შემადგენლობის წინაშე კონკრეტული ამოცანები დასახეს.

ყველასთვის ცნობილია, რომ კარგა ხნის წინათ ჩვენი კალათბურთის მოღვაწეთა შორის დაიწყო პრინციპული დავა ერთგუნდიანობის აგ-კარგზე. მართლაც, რომელი მოსაზრებაა უფრო მიზანშეწონილი: ის, რომელიც უმაღლეს ლიგაში ორი ან მეტი გუნდით თამაშს უჭერს მხარს, თუ დღევანდელი? უპირატესობას ნელ-ნელა, როგორც ჩანს, მრავალგუნდიანობის მომხრეები იღებენ. მაგრამ იმისთვის, რომ წარსულის მწარე გაკვეთილი არ გამეორდეს, საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ შეიქმნას მყარი აზრი ამ საკითხზე: შესწევს თუ არა უნარი თბილისს ჰყავდეს ვაჟთა ორი გუნდი უმაღლეს ლიგაში? მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები მიზნის მისაღწევად.

დელეგატთა უმრავლესობამ საქმიანად ილაპარაკა ბავშვთა და მინი-კალათბურთის პრობლემებზე. ამხილეს ნაკრები გუნდების შედგენაში არსებული ზოგიერთი მავნე ტენდენცია. საინტერესო მოსაზრებები გამოითქვა მინი-კალათბურთის პოპულარიზაციისა და შემდგომი განვითარების ამოცანებზე.

პლენუმის მონაწილეებმა ყურადღებით მოისმინეს ქართული კალათბურთის ერთ-ერთი პიონერის ვ. მდივნის გამოსვლა. მან თავისი სიტყვა ძირითადად რესპუბლიკური ჩემპიონატების არსებული სისტემის შეცვლას მიუძღვნა. ვ. მდივნის მიერ შემოთავაზებული გეგმა საინტერესოცაა და პერსპექტიულიც. მართლაც, შეიძლება თუ არა საქართველოს ჩემპიონატის ჩატარება ეგრეთ წოდებული მიმოსვლის სისტემით (როგორც, ვთქვათ, ფეხბურთშია — ერთი მატჩი შინ, ერთი — მეტოქის სარბიელზე)?

მთავარი დაბრკოლება ამ საკითხის განხილვისას რაიონების შესაძლებლობებში უნდა ვეძებოთ. არის თუ არა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ადგილებზე? შესწევთ თუ არა უნარი რაიონების გუნდებს გაუმკლავდნენ ასეთ მტკიცე და ხანგრძლივ კალენდარს? ვ. მდივანს მიაჩნია (და მისი ეს მოსაზრება უსაფუძვლო არ არის), რომ თუ საკითხი დადებითად გადაწყდა, ბაზებიც გაჩნდება და ამ სისტემის მომხრეთა საკმაოდ მძლავრი არმიაც.

დელეგატთა უმრავლესობამ გულისტკივილით ილაპარაკა საწვრთნელი ბაზების სიმცირეზე. ქუთაისში, მაგალითად, აშენდა ერთი კომფორტული სავარჯიშო (და არა სადემონსტრაციო) დარბაზი. ეს, რა თქმა უნდა, ადგილობრივი კალათბურთელებისთვის ძვირფასი საჩუქარი იყო, მაგრამ ქალაქს ამით არაფერი მოუგია: ერთი ახალი დარბაზის სანაცვლოდ გაუქმდა ორი ძველი ბაზა. მომეცადინეთა მდგომარეობა, ფაქტიურად, გაუარესდა, ვინაიდან კალათბურთელთა მთელი მასა ამ ერთადერთ ახალ დარბაზს მიაწყდა, რომელიც. ცხადია, საქმეს ვერ აუდის.

ბაზების მხრივ საქმე რიგიანად არც თბილისშია, სადაც მთლიანად გამორიცხულია საზოგადოებრიობისა და აქტივის ინიციატივა. კიროვის სახელობის პარკის საკალათბურთო მოედნები, სადაც აღიზარდა სახელოვან სპორტსმენთა რამდენიმე თაობა, თავის დროზე ენთუზიასტთა პატარა ჯგუფის ინიციატივით მოეწყო. ახლა ასეთ თაოსნობას აღარავინ იჩენს. პირიქით, ბევრი საწვრთნელი ბაზა, მათ შორის კიროვის სახელობის პარკში მდებარე მოედნებიც, უყურადღებობის შედეგად საერთოდ დაიკარგა კალათბურთისთვის.

პლენუმზე მკაცრად გააკრიტიკეს რესპუბლიკურ შეჯიბრებათა კალენდარი. საქართველოს ჩემპიონატი, როგორც წესი, უინტერესოდ ტარდება და მეტწილად ფორმალური ხასიათისაა. არ არის სწორი, როცა რესპუბლიკის მთელი საკალათბურთო ცხოვრება ერთადერთი ტურნირით შემოიფარგლება და ისიც ოთხ-ხუთ დღეში მთავრდება.

პრობლემა, როგორც ხედავთ, მართლაც ბევრია, მაგრამ მათს გადაჭრაზე ფიქრი არ შეიძლება, თუ ამ დარგში მომუშავეთა შორის არ იქნა კოლეგიალობა, ურთიერთგაგების ატმოსფერო. პლენუმის მონაწილეებმა ამ საკითხზეც საქმიანად იმსჯელეს. აზრი ასეთია: კოლექტიური, თავდადებული შრომის გარეშე საქმე წინ ვერ წაიწევს. კალათბურთის დღევანდელი მდგომარეობა ძალთა მაქსიმალურ დაძაბვას მოითხოვს, ამიტომაც ამ დიდ და პატრიოტულ საქმეში ყველა ერთისთვის უნდა იბრძოდეს. ეს ერთი ჩვენი ქართული კალათბურთია.

მაგრამ როგორ შეიძლება ერთიანობაზე ლაპარაკი, როცა პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა არ მიიღეს იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებიც ყველაზე მეტად უნდა იყვნენ დაინტერესებული კალათბურთის შემდგომი განვითარებით? პლენუმის დარბაზში ვერ ვნახეთ სპორტსაზოგადოებების ვერც ერთი ინსტრუქტორი — ისინი, ვინც პასუხს აგებს კალათბურთის მდგომარეობაზე სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებში. ამ საქმიან საუბარში მონაწილეობა არ მიუღიათ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრების გამგეებს. არადა, ყველაზე მეტი სათქმელი სწორედ მათ უნდა ჰქონოდათ, ვინაიდან იყო დრო, როცა ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთის ნადები სწორედ უმაღლეს სასწავლებლებში იყრიდა თავს. სტუდენტთა ტურნირებს დღესაც ინტერესით იხსენებენ ჩვენი კალათბურთის ვეტერანები, გულშემატკივრები და, ისინი სავსებით მართალი არიან, როცა შეჯიბრებების მნიშვნელობას რესპუბლიკური ჩემპიონატისას უთანაბრებენ.

ერთი სიტყვით, კალათბურთის მომავალი კარგა ხანია გასცდა ვიწრო საუწყებო ინტერესების სფეროს. მისი ბედ-იღბალი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ კოლექტიური მონდომებით, კოლექტიური შრომითა და ინტერესთა ერთიანობით.

ეს აზრი ერთხმად გაიზიარეს პლენუმის მონაწილეებმა და კამათში გამოსულმა მწვრთნელებმა, მსაჯებმა, ვეტერანებმა (ს. თორთლაძემ, რ. ახალაძემ, ო. ქორქიამ, გ. ბაბახანიდიმ, გ. ავალიშვილმა, ვ. მდივანმა, ვ. ავაქიანმა, ვ. ელენტმა, კ. კალანდაძემ, ლ. ძკონსკიმ, ლ. ინწკირველმა, მ. ბაგრატიონმა და საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტული სამმართველოს უფროსმა ს. ჯაიანმა, რომელმაც შეაჯამა პლენუმის მუშაობა).

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ პლენუმმა აირჩია ნ. ფოფხაძე. მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ლ. ძკონსკი, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარედ — კ. კალანდაძე.

# ფეიქრების სპორტული ზეიმი

ამ დღეებში მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში" ფეიქართა დიდი სპორტული ზეიმი მოეწყო. დარბაზში შეიკრიბნენ საუკეთესო ფიზკულტურელები, აქტივისტები, სხვადასხვა შეჯიბრებაში გამარჯვებულნი, საწარმოთა ხელმძღვანელები.

საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგემ ი. ბოჭორიძემ საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ე. ლავთაძეს გადასცა საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და საპატიო სიგელი 1973 წელს დარგობრივ პროფკავშირებს შორის მასობრივ-ფიზკულტურულ, სპორტულ და გამაჯანსაღებელ მუშაობაში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის.

18 სპორტის ოსტატი, 300-ზე მეტი სპორტის ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, 4000-ზე მეტი მშრ კომპლექსის ნიშნოსანი, სპორტსმენ-თანრიგოსანთა მრავალათასიანი არმია — ასეთია საქართველოს ფეიქართა 52 ფიზკულტურული კოლექტივის „სპორტული პროდუქცია".

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს VII დარგობრივ სპარტაკიადაში, რომელიც შარშან გაიმართა, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის კავშირის წარმომადგენლებმა I ადგილი დაიკავეს. „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ს. გიორგობიანმა გარდამავალი თასის გადაცემის დროს გამოთქვა რწმენა, რომ ისინი კვლავ დაიმსახურებენ საპატიო ჯილდოს.

შეჯამდა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები თვით პროფკავშირშიც. პირველი ჯგუფის კოლექტივებს შორის საუკეთესო მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობისთვის ე. ლავთაძემ რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, სამახსოვრო ვიმპელი და საპატიო სიგელი გადასცა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" სპორტკლუბ „ივერიას" (სხვათა შორის, კლუბმა ეს ჯილდო უკვე მეორედ მოიპოვა).

გარდამავალი წითელი დროშა, სამახსოვრო ვიმპელი და საპატიო სიგელი გადაეცა მეორე ჯგუფში გამარჯვებულს — თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ფიზკულტურის კოლექტივს.

ვიმპელები და სიგელები გადაეცათ პრიზიორებსაც: სპორტკლუბ „ფეიქარს", ქუთაისის სამკერვალო საწარმოო გაერთიანებას (I ჯგუფი), ფაბრიკა „საქტრიკოტაჟს" და სამკერვალო ფაბრიკა „გელათს" (II ჯგუფი).

აქტიური მუშაობისთვის წამახალისებელი ვიმპელები მიიღეს მთელმა რიგმა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა. აქვე „განთიადის" VII სპარტაკიადაში გამარჯვებულ სპორტსმენთა დიდ ჯგუფს გადაეცა სამახსოვრო პრიზები და სიგელები.

**ზ. კოვალიოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი ძალოსნობაში

# პრიზიორები

ნახევრადმძიმე წონა. ორჭიდი: 1. ს. პოლტორაცკი (ხმელნიცკი, „სპარტაკი") — 365 (165+200), 2. ე. პენკოვსკი (მოსკოვი, შეიარაღებული ძალები) — 360 (152,5+207,5), 3. კოლოტოვი (პერვოურალსკი, „ტრუდი") — 360 (157,5+202,5). ატაცი: 1. პოლტორაცკი — 165, 2. გ. შარიი (მინსკი, შეიარაღებული ძალები) — 160, 3. კოლოტოვი — 157,5. აკვრა. 1. პენკოვსკი — 207,5, 2. კოლოტოვი — 202,5, 3. პოლტორაცკი — 200.

მძიმე. ორჭიდი: 1. ვ. უსტიუჟინი (როვნო, „დინამო") — 382,5 (160+222,5), 2. ვ. ხალინი (დონეცკი, „ავანგარდი") — 380 (170+210), 3. ა. ტროფიმენკო (დონის როსტოვი, „დინამო") — 375 (165+210). ატაცი: 1. ხალინი — 170, 2. გ. არუთინიანი (ერევანი, „ბურევესტნიკი") — 167,5, 3. კ. უტსარი (ტალინი, „იიუდი") — 167,5. აკვრა. 1. უსტიუჟინი — 222,5, 2. ტროფიმენკო — 210, 3. ხალინი — 210.

ზემძიმე. ორჭიდი: 1. ვ. ალექსეევი (შახტი, „ტრუდი") — 420 (180+240), 2. ა. ენალდიევი (ორჯონიკიძე, „ტრუდი") — 390 (172,5+217,5), 3. ა. ბოროდინი (მოსკოვი, „ტრუდი") — 385 (162,5+222,5). ატაცი: 1. ალექსეევი — 180, 2. ენალდიევი — 172,5, 3. ვ. კუზმინი (ვოლგოგრადი, „დინამო") — 165. აკვრა: 1. ალექსეევი — 240, 2. ბოროდინი — 222,5, 3. კუზმინი — 220.



ყოველმა სპორტის მოყვარულმა იცის, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის მოწოდებულ სახეობათაგან ზოგი ინდივიდუალურია (მაგალითად, ტანვარჯიში, ძალოსნობა და სხვ.), ზოგი — კოლექტიური (ფეხბურთი, კალათბურთი...), ზოგ სახეობაში ასპარეზობა ერთ მეტოქესთან ჭიდილს გულისხმობს (ჭიდაობა, კრივი, ფარიკაობა...), მაგრამ ყველას აერთიანებს ის მძაფრი ემოციური განცდები, რომლებიც სპორტულ შეჯიბრებებს მუდამ ახლავს. ამ სურათზე აღბეჭდილი ადამიანები, თუ შეიძლება ასე ითქვას, სპორტის სხვადასხვა პოლუსის წარმომადგენლები არიან, მაგრამ ერთი რამ აერთიანებთ — არჩეული სახეობის განუზომელი სიყვარული. ისინი დაახლოებით ერთი თაობისა არიან. სპორტული მემატიანე ვერც ერთს გვერდს ვერ აუვლის. ღირსშესანიშნავია, რომ ერთი 35 წლის ასაკში ჩამოშორდა აქტიურ სპორტს, ხოლო მეორე სწორედ ამ ასაკში დაუბრუნდა სარბიელს, რათა კიდევ ერთხელ დაერწმუნებინა სამყარო ადამიანის შესაძლებლობების უსასრულობაში. ერთი ცნობილი ფეხბურთელი სლავა მეტრეველი გახლავთ, ხოლო მეორე — სახელგანთქმული ძალოსანი ლეონიდ ჟაბოტინსკი. ვინც ახლახან თბილისის ცირკში დამთავრებულ ძალოსანთა ჩემპიონატის ცხარე ბრძოლებს ადევნებდა თვალს, არ შეიძლება ეს ორი ადამიანი არ შეემჩნია ერთსა და იმავე ლოჟაში. მათ ბევრი რამ აქვთ მოსაგონარი და სურათზეც სწორედ ერთ-ერთი ასეთი მეგობრული საუბრის მომენტია აღბეჭდილი.

ა. მხეიძე.

ა. გურასაშვილისა და ჯ. კასრაძის ფოტო.

# წინსვლის ფურცლები

ზემძიმე წონა. აკვრა. ვ. ალექსეევი. 241 კგ. მსოფლიო რეკორდი.

საბჭოთა ძალოსნებიდან მსოფლიოს პირველი რეკორდსმენი იყო ი. კუცენკო, რომელმაც უმაღლესი მიღწევა 174 კგ-მდე აიყვანა, მაგრამ შემდეგ რეკორდმა ამერიკაში გადაინაცვლა. ჯერ ჯ. დევისმა, მერე ნ. შემანსკიმ, ხოლო ბოლოს პ. ანდერსონმა დიდი ხნით დაისაკუთრეს ამ მოძრაობაში უმაღლესი მიღწევა. მაგრამ აი, სარბიელზე გამოჩნდა ი. ვლასოვი, რომელმაც უცხოელ ძალოსნებს ჩამოართვა მსოფლიო რეკორდი და 197,5 კგ აწვენა. შემდეგ ამერიკელმა დ. აშმანმა დაამყარა რეკორდი — 201 კგ. მას შემდეგ მსოფლიო რეკორდების ცხრილში 7-ჯერ შეიტანა შესწორება ვლასოვმა და მერე ესტაფეტა გადასცა ლ. ჟაბოტინსკის. ამ უკანასკნელმა რეკორდი 220 კგ-მდე ასწია. შემდეგ რეკორდს დაეუფლა ამერიკელი რ. ბედნარსკი. ფიცარნაგზე ვ. ალექსეევის გამოჩენამ ძალოსნობაში ახალი ეპოქა შვა. მისი პირველი რეკორდი უდრიდა 221,5 კგ-ს. შემდეგ ალექსეევმა ორჯერ დაუთმო რეკორდსმენის წოდება ბელგიელ ს. რედინგს. ცხრილში შეტანილი დანარჩენი მიღწევები საბჭოთა ათლეტს ეკუთვნის. და აი, თბილისში ალექსეევმა რეკორდი 241 კგ-მდე აიყვანა.

ზემძიმე წონა. ორჭიდი. ვ. ალექსეევი. 420 კგ. მსოფლიო რეკორდი.

ჯერ კიდევ სამჭიდის დროს არ ჰყავდა საბჭოთა ძალოსანს ვ. ალექსეევს მსოფლიოში ბადალი. მან დაახლოებით 20-ჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი სამჭიდში და ბოლოს მიღწევა 645 კგ-მდე აიყვანა. მაგრამ შემდეგ ძალოსნობაში შემოიღეს ორჭიდი და მსოფლიო რეკორდების ცხრილში გაჩნდა ს. რედინგის გვარი — 412,5 კგ. აქვე დავაში ჩაერია ვ. ალექსეევი და ბელგიელს რეკორდი ჩამოართვა. საბჭოთა სპორტსმენმა 417,5 კგ აწვენა. თბილისში დამთავრებულ ჩემპიონატში მან თავისივე რეკორდი კიდევ 2,5 კგ-ით გააუმჯობესა. ახლა მსოფლიო რეკორდი 420 კგ-ს (180+240) უდრის.

ე. ლიუბომიროვი.

რესპუბლიკური პირველობა ჭადრაკში

# ახალგაზრდული შემართებით

საქართველოს ვაჟთა XXXV პირველობა. გადადებული პარტიების დამთავრება. ლ. ნეურონოვი (ბათუმი) — ე. უბილავა (თბილისი) 0,5:0,5, გ. ბიბილაშვილი (რუსთავი) — ქ. ჩიგოგიძე 0,5:0,5, ე. ბოკუჩავა — ა. ბუსლაევი 0,5:0,5, ზ. მიქაძე (ყველა — თბილისი) — ბიბილაშვილი 1:0.

III ტური. გ. კალატოზიშვილი — ე. მიქაელიანი (ორივე — თბილისი) 0,5:0,5, ა. ტუზოვსკი (სოხუმი) — უბილავა 0,5:0,5, ე. გუფელდი — ზ. აზმაიფარაშვილი 1:0, მ. ჭიპაშვილი — თ. ლომაია (ყველა — თბილისი) — 1:0, ბიბილაშვილი — ბოკუჩავა 1:0, ჩიგოგიძე — მიქაძე 0,5:0,5. სხვა პარტიები გადაიდო.

ჭაბუკი მოჭადრაკე აზმაიფარაშვილი პირისპირ პირველად შეხვდა დიდოსტატს. რა თქმა უნდა, იგი ღელავდა, მაგრამ მაინც დიდი ხალისით და ინტერესით თამაშობდა. გუფელდმა კატალონიური დასაწყისი აირჩია და აქტიური თამაში მიიღო. ბრძოლა მთელ საღამოს გაგრძელდა. აზმაიფარაშვილი თავგამოდებით თამაშობდა, მაგრამ დიდოსტატის გამოცდილებამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა.

ენერგიულად ითამაშეს ახალგაზრდებმა ჭიპაშვილმა და ბიბილაშვილმა, რომლებმაც ოსტატებს სძლიეს. ჭიპაშვილმა ლომაიას რეტის დებიუტი შესთავაზა. ოსტატმა გამოწვევა მიიღო, მაგრამ შუა პარტიაში უსუსტოდ ითამაშა. ბოკუჩავამ სიცილიური დაცვა აირჩია ბიბილაშვილთან, მაგრამ მეტოქის იერიშს ვერ გადაურჩა.

მშვიდად წარიმართა ტუზოვსკი — უბილავას (ნიმცოვიჩის დაცვა, 21 სვლა) და ჩიგოგიძე — მიქაძის (რუსული პარტია, 23 სვლა) შეხვედრები, რომლებშიც მეტოქენი დაზავდნენ. დიდი ბრძოლა გააჩაღეს კალატოზიშვილმა და მიქაელიანმა. ისინი ყაიმზე მხოლოდ 48-ე სვლაზე შეთანხმდნენ.

* * *

საქართველოს ქალთა XXXI პირველობა. გადადებული პარტიების დამთავრება. ლ. ბელოზიოროვა — ლ. თანდაშვილი 0,5:0,5, ქ. გაჩეჩილაძე — ქ. გეგიძე 0,5:0,5, მ. წერეთელი — თ. ხუგაშვილი 0,5:0,5, ნ. გურიელი — მ. კალანდაძე 0:1, გეგიძე — ნ. იოსელიანი 0:1, ე. ბაშინჯაგიძე (ყველა — თბილისი) — ნ. ხუბულური (ონი) 0:1, ა. ჩაიკოვსკაია — ც. კახაბრიშვილი (ორივე — თბილისი) 1:0.

III ტური. ბელოზიოროვა — კალანდაძე 1:0, იოსელიანი — თანდაშვილი 1:0, მ. ვაჩეიშვილი (ორივე — თბილისი) — გეგიძე 0:1, ხუბულური — ე. აპრესოვა (გორი) 1:0, კახაბრიშვილი — ბაშინჯაგიძე 0:1, წერეთელი — ჩაიკოვსკაია 0,5:0,5, ნ. ჯანჯღავა (ცხაკაია) — ხუგაშვილი 0:1, ც. კობაიძე — ნ. მანველოვა (ორივე — თბილისი) 1:0. ორი პარტია გადაიდო.

საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებს 12 წლის ნანა იოსელიანის ბრძოლისუნარიანობა. თანდაშვილთან მან ისე გაითამაშა ლაზიერის პაიკთა დებიუტი, რომ იერიში ააწყო და 26-ე სვლაზე უკვე მესამე გამარჯვება იზეიმა.

მტკიცედ თამაშობს საქართველოს მოსწავლე გოგონათა ჩემპიონი წერეთელი. საერთაშორისო ოსტატ ჩაიკოვსკაიასთან მზიამ წინდახედულად მოიგერია პაიკთა შეტევა ლაზიერის ფრთაზე და მერე ინიციატივას თავად დაეუფლა. ჩაიკოვსკაიას დიდი სიფრთხილე დასჭირდა, რომ პოზიცია გაეთანაბრებინა.

ორიგინალურად წარმართა პარტია ხუგაშვილმა. ჯანჯღავამ თავი ვერ გაართვა სიძნელეებს.

სტარტის სიურპრიზია საქართველოს შარშანდელი ჩემპიონის კახაბრიშვილის ორი წაგება, თუმცა მას მოუგეს პირველობის ფავორიტებმა — ჩაიკოვსკაიამ და თბილისის ჩემპიონმა ბაშინჯაგიძემ.

# ლიდერთა პაექრობა

IV ტური. ზ. ბურჭულაძე — რ. ჯინჯიხაშვილი 0:1, გ. კალატოზიშვილი — ლ. ნეურონოვი 0,5:0,5, ზ. აზმაიფარაშვილი — მ. ჭიპაშვილი 1:0, თ. ლომაია — ა. ბუსლაევი 0:1, ჯ. ბერაძე — გ. ბიბილაშვილი 0,5:0,5, ა. ბოკუჩავა — ქ. ჩიგოგიძე 1:0. გადაიდო პარტიები: ე. მიქაელიანი — ზ. მიქაძე, ე. უბილავა — ე. გუფელდი, გ. ზაიჩიკი — ა. ტუზოვსკი.

ოთხი ტურის შემდეგ გუფელდს, მიქაძეს, მიქაელიანს 2,5-2,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ, კალატოზიშვილს — 2,5 ქულა.

დიდი ინტერესი გამოიწვია ლიდერთა შეხვედრებმა. მიქაძემ და მიქაელიანმა პარტიის ფინალი მძაფრ ცაიტნოტში ითამაშეს. მიქაძე ლაზიერით და ეტლით მეტოქის ბანაკში შეიჭრა, ხოლო ლაზიერების გაცვლის შემდეგ რამდენიმე პაიკი მოიგო. პარტია გადაიდო უაღრესად მწვავე პოზიციაში, სადაც მიქაძეს უკეთესი მდგომარეობა აქვს.

დაუმთავრებელი დარჩა უბილავა-გუფელდის შეხვედრაც. მცირე უპირატესობა უბილავას მხარეზეა.

ჯინჯიხაშვილმა ენერგიული ბრძოლით ხელთ იგდო ინიციატივა. მერე ორი ეტლით შეიჭრა ბურჭულაძის პოზიციაში და გაიმარჯვა. ბუსლაევი ლომაიას მეფეს უტევდა. მუქარის მოგერიებისას ლომაიას მეტოქის მხედრის სახიფათო მანევრი გამორჩა. ხარისხის დაკარგვა გარდაუვალი იყო და იგი წაგებას შეურიგდა.

* * *

IV ტური. ნ. გურიელი — ნ. იოსელიანი 1:0, ლ. ბელოზიოროვა — ქ. გაჩეჩილაძე 0:1, მ. კალანდაძე — ნ. მანველოვა 0:1, ლ. თანდაშვილი — მ. ვაჩეიშვილი 1:0, ქ. გეგიძე — ნ. ხუბულური 0:1, ე. აპრესოვა — ც. კახაბრიშვილი 0:1, ა. ჩაიკოვსკაია — ნ. მამისთვალოვა 1:0, ვ. კუპრეიშვილი — ნ. ჯანჯღავა 1:0, თ. ხუგაშვილი — ც. კობაიძე 0,5:0,5. გადაიდო ე. ბაშინჯაგიძე — მ. წერეთლის პარტია.

ოთხი ტურის შემდეგ ლიდერობენ ჩაიკოვსკაია — 3,5 ქულა, ხუგაშვილი, ხუბულური და იოსელიანი — 3-3.

პირველი მარცხი იწვნია ერთპიროვნულმა ლიდერმა იოსელიანმა. მან გურიელთან უხეიროდ გაითამაშა ლაზიერის გამბიტი და პოზიცია ისე დაასუსტა, რომ მისი დაცვა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ჩაიკოვსკაიამ მამისთვალოვასთან იერიში განავითარა. მოჭადრაკე გოგონას მეფის პოზიციაში სისუსტეები გაუჩნდა. საერთაშორისო ოსტატმა მყისვე ისარგებლა მეფეზე თავდასხმის შანსით. როცა ჩაიკოვსკაიამ მხედარი შესწირა, მამისთვალოვამ შემდგომი წინააღმდეგობა უაზროდ მიიჩნია და მეტოქეს გამარჯვება მიულოცა.

დიდი დავა გააჩაღეს კობაიძემ და ხუგაშვილმა. ბრძოლა არც ლაზიერების გაცვლის შემდეგ დამცხრალა. ხუგაშვილის მხედარს დიდი შესაძლებლობები ჰქონდა, მაგრამ კობაიძე თეთრების განლაგებაში ეტლით შეიჭრა და პოზიცია გაათანაბრა.

საინტერესოდ მიმდინარეობდა თბილისის ჩემპიონ ბაშინჯაგიძისა და გოგონათა შორის საქართველოს ჩემპიონ წერეთლის შეხვედრა. ბოლოს პარტია გადაიდო ეტლების დაახლოებით თანაბარ ენდშპილში.

თ. ნინოშვილი.

# ბოლო სერიის წყალობით

სასტენდო სროლაში სსრ კავშირის თასის გათამაშების დამთავრებისთანავე ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები ლვოვიდან მოსკოვს გაეშურნენ და იქ საერთაშორისო შეჯიბრებაში ჩაებნენ.

მრგვალ სტენდზე სროლაში შესანიშნავად იასპარეზა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა, მსოფლიოს რეკორდსმენმა, თბილისელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ტ. ულენტმა („ლოკომოტივი"), რომელმაც 200-დან 196 ქულა მოაგროვა და 1 ადგილი დაისაკუთრა.

ტარიელმა ეს გამარჯვება უკანასკნელ სერიაში უშეცდომო სროლის წყალობით მოიგო. მას დიდხანს კვალში მისდევდნენ ალმაათელი ა. სეროვი, მოსკოველი ა. სოკოლოვი და ფრუნზელი ვ. ანდრეევი, რომლებმაც საბოლოოდ 194-194 სამიზნე გატეხეს.

სსრ კავშირის სპორტსმენებმა ამ ვარჯიშში პირველი ცამეტი ადგილი დაისაკუთრეს, ადგილიდან სროლაში კი ბედი სტუმრებს სწყალობდათ.

ბ. ხოპემ (გდრ) 200-დან მხოლოდ 6 სამიზნეს ააცდინა. II ადგილი დაიკავა რ. პერეირამ (საფრანგეთი) — 191, III — ა. მარინესკუმ (რუმინეთი) — 189.

# 21 წლის წინათ...

ცნობილია, რომ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში მხოლოდ სამ გუნდთან აქვთ უარყოფითი ბალანსი: მოსკოვის „დინამოსთან", ცსკა-სთან და „სპარტაკთან" (ლაპარაკია იმ გუნდებზე, რომლებიც სისტემატურად, დიდი ხანია გამოდიან უმაღლეს ლიგაში). დანარჩენებთან თბილისელებს უპირატესობა აქვთ. უპირატესობა აქვთ კიეველ თანაკლუბელებთანაც, თანაც იგი უმთავრესად წინა წლებში მოპოვებული გამარჯვებების შედეგია.

მე, როგორც სტატისტიკოსი, დავინტერესდი, რამდენი ხანია, რაც თბილისელებს არ მოუგიათ ჩემპიონატის მატჩი კიევში. გამოირკვა, რომ ჩვენს გუნდს ბოლო ასეთი გამარჯვება მოპოვებული აქვს 21 წლის წინათ, 1953 წლიდან მოყოლებული კი უკრაინის დედაქალაქში ვერ იქნა და ვერ მოვიგეთ თამაში.

დიახ, ეს იყო 1953 წლის პირველი წრის მატჩი, რომელიც 31 მაისს შედგა. მაშინ კიეველთა რიგებში გამოდიოდნენ ცნობილი ფეხბურთელები მაკაროვი, ლერმანი, კომანი, ვინკოვატოვი, ფოკინი, გრამატიკოპულო, ზაზროევი და სხვ. ამ მატჩში მასპინძლები ხშირად უტევდნენ და თბილისელთა მეკარე ვლადიმერ მარღანიას თავიდანვე მძიმე დატვირთვა დააწვა.

მეორე ტაიმში თამაში გამოსწორდა, მაგრამ 65-ე წუთზე მსაჯმა უხეში თამაში აღნიშნა თოდრიას მხრივ, გააძევა იგი მინდვრიდან და თბილისელები კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ — ათნი თერთმეტის წინააღმდეგ. აი, სწორედ აქ გამოიჩინა გუნდმა დიდი ნებისყოფა, გამარჯვებისადმი სწრაფვა და ერთ-ერთი კონტრშეტევისას ღოღობერიძემ შეძლო ბურთის გატანა, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ მატჩში. ეს მოხდა 70-ე წუთზე. კიეველთა ხანგრძლივი იერიში უნაყოფო აღმოჩნდა და თბილისის „დინამო" გამარჯვებული წავიდა მინდვრიდან.

მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და უკვე 20 წელია ჩვენს გუნდს კიევში არ გაუმარჯვია. ეს მაშინ, როცა ბოლო 12 წლის მანძილზე კიეველებმა თბილისიდან სამჯერ შეძლეს 2 ქულის წაღება.

იამანიძის, ჩოხელის, კოტრიკაძის, მესხის, მეტრეველისა და მათი თაობის წარმომადგენლებმა კიევში ვერც ერთხელ ვერ შეძლეს გამარჯვების მოპოვება. რატომ არ უნდა გააკეთონ ეს ხურცილავამ, ძოძუაშვილმა, ასათიანმა, ჭელიძემ, მაჩაიძემ, ყიფიანმა და მათმა მეგობრებმა?

პრესტიჟის საქმეა!

ჯ. ქორიძე,

რუსთავი.

# უინულის სამეფოში მოპოვებული მედლები

ამას წინათ ჭეშმარიტი ზეიმი იყო თბილისის ა. ჯაფარიძის სახელობის ალპიურ კლუბში. აქ თავი მოეყარათ მთამსვლელობის თაყვანისმცემლებს, რათა ეხილათ ქართველი მთის რაინდების დაჯილდოება. ყურადღების ცენტრში იყვნენ მასპინძელთა წარმომადგენლები და ალპიურ ბანაკ „აილამის" მთამსვლელები. მათთვის შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში მოპოვებული ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები უნდა გადაეცათ.

„აილამის" მთამსვლელებმა, „განთიადის" წევრებმა გ. წერედიანმა (ხელმძღვანელი), გ. გუგავამ, ზ. მუშკუდიანმა, ნ. ნიგურიანმა და ა. რატიანმა კავკასიონის ტრავერსისთვის (ჯაფარიძიდან თეთნულდამდე) მოიპოვეს ვერცხლის მედლები. მეორე ჯგუფმა კი, რომელშიც შედიოდნენ შ. მირიანაშვილი (ექსპედიციის უფროსი), დ. დანგაძე (მოიერიშე ჯგუფის ხელმძღვანელი), ა. აბაშიძე, ო. ხაზარაძე, გ. ახვლედიანი, ს. ზარლიანი, ა. გუგამელი, ტ. ლუკაშვილი და შ. გაბისიანი, პამირის თოვლ-ყინულეთში დაიმსახურეს ბრინჯაოს მედლები. მათ 7105-მეტრიანი ე. კორჟენევსკაიას პიკი დალაშქრეს გაუვლელი, სამხრეთ-აღმოსავლეთის კლდოვანი კედლით.

ორივე ჯგუფს ჯილდოები საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დ. პერტენავამ გადასცა. მათვე გადაეცათ ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის საპატიო სიგელები.

შ. მირიანაშვილმა და ა. რატიანმა დამსწრეთ უამბეს თავიანთი ლაშქრობის პერიპეტიებზე, მაგრამ ჩვენ ამაზე აღარ შევჩერდებით, რადგან „ლელო" თავის დროზე დაწვრილებით წერდა ორივე ექსპედიციაზე.

დასასრულს უჩვენეს ფილმები „ტიან-შანი", „შევისწავლოთ მშობლიური მხარე" და „მწვერვალი". ეს უკანასკნელი ეძღვნება შ. მირიანაშვილის ჯგუფის ლაშქრობას კორჟენევსკაიას პიკზე.

ა. გურასაშვილი.





გუშინწინ თბილისის ახალ ველოტრეკზე დამთავრდა სპრინტერთა საკავშირო ჩემპიონატის II ეტაპი. ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ხარკოვის „დინამოს“ წარმომადგენელმა ს. კრავცოვმა. იგი I ადგილზე გავიდა და ოქროს მცირე მედლის მფლობელი გახდა.

• • •

სურათებზე: სპრინტერთა ერთ-ერთი შეჯიბრების მომენტი; თბილისის ტურში გამარჯვებული ს. კრავცოვი.

●

(შეჯიბრების დაწვრილებითი ანგარიში იხილეთ „ლელოს“ შემდეგ ნომერში).

მ. ზარგარიანის ფოტოები.

# რა არის ფეხბურთი?

## იუმორისტული მოთხრობა

ფეხბურთელთა გუნდ „ამირანის“ მწვრთნელი ვახვახიშვილი ერთობ კეთილსინდისიერი ადამიანი გახლდათ. ხალტურა და შემთხვევითი მოგება თავისი გუნდის კარის ბადეში ჰაჰვეული ბურთივით სძულდა. ეპოქის მაჯისცემას არ უნდა ჩამორჩეო, უყვარდა თქმა ვახვახიშვილს. და, რახან მისი სიტყვა და საქმე ერთი იყო, „ამირანის“ წვრთნაც ეპოქის შესაფერისად მოაწყო. გუნდში მოიწვია ორი მეცნიერებათა კანდიდატი (ერთი მათგანი აგერ-აგერ დოქტორი გახდებოდა!), პარიზის კულინართა საერთაშორისო კონკურსის უმაღლესი პრიზის — ოქროს შამფურის მფლობელი, ძალიან დამსახურებული შეფ-მზარეული და მსოფლიოს ოთხგზის ექს-ჩემპიონი ძიუდოში. ეს უკანასკნელი მასაჟისტად ჰყავდა გუნდში. ამას გარდა, ვარჯიშის დროს მინდორზე ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის და ვიქტორ დოლიძის უკვდავი ჰანგები გაისმოდა, ხოლო მატჩების დროს გუნდს თავგამოდებით ამხნევებდა მედუდუკეთა ანსამბლი შაშო ხარფუხელის ხელმძღვანელობით. ამის შემყურე გულშემატკივრები ტრიბუნებზე სულ შალახოს და კინტაურს უვლიდნენ.

და მაინც, გუნდი ვერ დაიკვეხნიდა წარმატებებს. აი, ახლაც ისევ წააგო „ამირანმა“. ჩვეულებრივ, წაგების შემდეგ ვახვახიშვილი ცოფებს ყრიდა, ფეხბურთელები კი ამას შეჩვეული იყვნენ და მაინცდამაინც არ ისივებდნენ ისედაც გასივებულ გულებს და თითქოს არც ესმოდათ მწვრთნელის ქოქოლა და ავყიაობა.

მაგრამ ამჯერად სასწაული მოხდა. სასწაული იყო, აბა რა? ვახვახიშვილს ხმაც არ ამოუღია. ლანძღვა-გინება კი არა, საერთოდ, სიტყვა არ დასცდენია. — არც ავი, არც კარგი. ბიჭებმა ჯერ იფიქრეს, დიხაბურჯიას უცდისო. მარცხენა გარემარბი დიხაბურჯია ყოველთვის ბოლოს შემოყოფდა ხოლმე თავს გასახდელში. თუ წააგებდნენ, მაშინ ხომ სულ წელმოწყვეტილი როდის-როდის შემოლასლასდებოდა. ვახვახიშვილიც განგებ დამუნჯდებოდა ბოლო მოთამაშის გამოჩენამდე. მერე კი, ვაი დიხაბურჯიას ბრალი, მთელ ჯავრს იმაზე იყრიდა, ის კი ვერაფრით მიმხვდარიყო — რაღა მაინცდამაინც იმას მიახტებოდა ხოლმე მწვრთნელი.

მაგრამ აი, დიხაბურჯიაც შემოიძურწა. ბიჭებმა შხაპი მიიღეს, ტანთ ჩაიცვეს, ვახვახიშვილი კი დუმდა. იჯდა თავისთვის უმწეოდ და დუმდა. გასახდელში უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. ბიჭები იდგნენ დაბნეული, უაზროდ. სიჩუმე ისევ მწვრთნელის ხმამ დაარღვია.

— დიხაბურჯია... — თქვა ვახვახიშვილმა უფრო თავისთვის.

— ახლა დაიწყო. — გადაუჩურჩულეს ბიჭებმა ერთმანეთს.

— დიხაბურჯია, — გაიმეორა მწვრთნელმა, — ბიჭო, მითხარი ერთი შენ, რა არის ფეხბურთი?

ბიჭებმა გაკვირვებისგან პირი დააფჩინეს.

დიხაბურჯიამ ისე შეხედა მწვრთნელს, თითქოს ამოწმებს, ნამდვილად გაგიჟდა, თუ არაო.

ვახვახიშვილი ისევ ისე მოშვებული იჯდა, რომელიღაც უხილავ წერტილს მიშტერებოდა და პასუხს ელოდა.

დაიბნა დიხაბურჯია. ამას კი ნამდვილად არ ელოდა. ერთ კაცს მოატყუებდა მინდორზე, ორსაც, სამსაც. ერთხელ ხუთ კაცშიც გავიდა და გოლი გაიტანა, მაგრამ რა უპასუხოს ვახვახიშვილს? რა არის ფეხბურთი? საკითხავად ადვილია, მაგრამ აბა ერთი უპასუხე! დიხაბურჯიას ფიქრიც ისე სწრაფად რომ შეეძლოს, როგორც რბენა შეუძლია, უეჭველად მოიგონებდა პასუხს. თანაც ისეთს, რომ ვახვახიშვილსაც გააცინებდა და ბიჭებსაც. ახლა კი რა ქნას? მწვრთნელი ჟიუტად ელოდება მის პასუხს, ბიჭებიც დამუნჯებულან...

რაღაც აზრმა გაუელვა დიხაბურჯიას. „ვუთხრა? როგორც თვითონ ამბობს ვახვახიშვილი, ისე ვუთხრა? ფეხბურთი უბრალო რამე არ გეგონოთ! ეს არის ხელოვნება და მეცნიერება, მეცნიერება და ხელოვნება შეერთებული! აი, ამ აზრამდე მივიდნენ წამყვანი სპეციალისტები დღეს!“ არა, არა! დიხაბურჯიამ ეს რომ უთხრას მწვრთნელს, არ ივარგებს! ეგ ხომ ჩემი სიტყვებიაო, მიახლის ვახვახიშვილი. რომ უპასუხოს უბრალოდ — ფეხბურთი თამაშიაო, ხომ მოკლა მწვრთნელმა! ამ სიტყვებისთვის ერთხელ ძლივს გადაურჩა დიხაბურჯია ვახვახიშვილს. ახლა რომ იგივე თქვას, უეჭველად გააგდებს ვახვახიშვილი გუნდიდან, გააგდებს და მიაყოლებს: ფეხბურთი თუ თამაშია, წადი და ქუჩაში ითამაშეო! ამ სიტყვებით არ გააგდო მეხიშვილი? არადა, რომ გააგდონ, როგორღა ჩააბაროს დიხაბურჯიამ მეორე კურსის ოთხი დარჩენილი საგანი, ა?

— ბიჭო, დაყრუვდი? — შეიშმუშნა ვახვახიშვილი.

— შენ მშიშარა ხარ, დიხაბურჯია! — მკაცრად უთხრა მწვრთნელმა.

დიხაბურჯიას ხმა არ ამოუღია.

— აბა ვინ მეტყვის, რა არის ფეხბურთი? — მიმართა მწვრთნელმა მთელ გუნდს.

ბიჭები აჩურჩულდნენ, მაგრამ ხმა არც ერთს არ ამოუღია.

მწვრთნელის წინ იდგა ჯან-ღონით სავსე თერთმეტი ახალგაზრდა (სათადარიგოები გასახდელში არც შემოსულან, ისე გაიპარნენ) და ვერც ერთი ვერ ბედავდა უბრალო ჭეშმარიტების ხმამაღლა თქმას.

— ესეც შენი ხელოვნება და მეცნიერება, თანაც შეერთებული — გულმოსული ფიქრობდა ვახვახიშვილი, ესეც შენი მეცნიერება და ხელოვნება! ჰმ, ბახი და ბეთჰოვენი! კანდიდატი-ფსიქოლოგი და კანდიდატი-ფსიქიატრი! გაგიჟდება კაცი, აბა რა მოუვა? ბიჭებს მოავლო თვალი. ისე საცოდავად იდგნენ, ვახვახიშვილს გული მოუკვდა. კიდევ კაი ჭკუაზე ხართ ჩემ ხელშიო, ჩაილუღლუღა თავისთვის.

ამ დროს გასახდელში ვახვახიშვილის პატარა ბიჭი შემოვიდა. რა გულგასახეთქადაც უნდა წაეგო „ამირანს“, მამა მაინც გაიღიმებდა შვილის დანახვაზე. ფეხბურთელებმა ეს იცოდნენ და ახლაც ისე მიაპყრეს თვალი ბავშვს, თითქოს მასზე იყო დამოკიდებული, აჩუქებდა განწირულებს სიცოცხლეს ვახვახიშვილი თუ არა. მაგრამ ვახვახიშვილი ისევ ისე მოღუშული იდგა. ფეხბურთელებს ცივმა ოფლმა დაასხა. ბიჭმა, ვითომც აქ არაფერიაო, სხაპასხუპით მიაყარა:

— მამა, სად ხარ ამდენ ხანს, ჩქარა წავიდეთ, დღეს ბრაზილია და იტალია თამაშობენ. ტელევიზორში გადმოცემაა, დაგავიწყდა? პელეს თამაშს ვნახავთ, პელეს თამაშს!

ვახვახიშვილს უცებ შუბლი გაეხსნა, შვილს თავზე ხელი გადაუსვა და ბიჭებს ამაყად ჰკითხა:

— გაიგონეთ, რა თქვა ბავშვმა?

ბიჭებმა ღიმილით დაუქნიეს თავი.

— პელეს მეცნიერებასა და ხელოვნებას კი არა, თამაშს ვნახავო. თამაშს! თუ თვითონ პელე თამაშობს, ჩვენ რაღა ფილოსოფია აგვიტყდა? ძირს დღეიდან ყოველგვარი ლაყბობა ფეხბურთზე! ითამაშეთ, ითამაშეთ, რადგან ფეხბურთი თამაშია, თამაში, თამაში!

ფეხბურთელები ისე გახარებული შეჰყურებდნენ მწვრთნელს, თითქოს ჩემპიონობა მეორე წრის დაწყებამდე გაენაღდებინოთ, ხოლო თასი უკვე მეთექვსმეტედფინალში ეგდოთ ხელთ.

ვახვახიშვილმა მარცხენა გარემარბს ლოყაზე ხელი მოუთათუნა და არაჩვეულებრივად ალერსიანად ჰკითხა:

— ასე არაა, დიხაბურჯია?

ახლა კი ნამდვილად შვებით ამოისუნთქა დიხაბურჯიამ.

— აბა რა! ფეხბურთი თამაშია ყველაზე უკეთესი თამაში!!!

ყველანი აღფრთოვანებული იყვნენ.

ვახვახიშვილმა მეორე დღესვე დაითხოვა გუნდიდან მეცნიერებათა ორივე კანდიდატი — ფსიქოლოგიც და ფსიქიატრიც, მსოფლიოს ოთხგზის ექს-ჩემპიონი ძიუდოში კი თვითონ აღარ გამოჩენილა გუნდში. მწვრთნელმა ვარჯიშის დროს ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენისა და ვიქტორ დოლიძის სახელების ხსენებაც კი აკრძალა. განსაკუთრებით სიკოს და საქოს კუპლეტებზე სწყდებოდათ ბიჭებს გული, მაგრამ ითმენდნენ.

რაც მართალია, მართალია, პარიზის კულინართა საერთაშორისო კონკურსის უმაღლესი პრიზის — ბაჯაღლო ოქროს შამფურის მფლობელს, ძალიან დამსახურებულ შეფ-მზარეულს კი ვერა და ვერ შეელია მწვრთნელი. მედუდუკეთა ანსამბლს შაშო ხარფუხელის ხელმძღვანელობით ვახვახიშვილმა არათუ დაკვრა, თამაშებზე გამოჩენაც კი აუკრძალა. ამის შემდეგ გულშემატკივრებმაც თავი ანებეს შალახოსა და კინტაურს.

მერე „ამირანმა“ ცხრა თამაში მოიგო ზედიზედ, მათ შორის ხუთი — მოწინააღმდეგის მინდორზე, თანაც გადასარევი ანგარიშებით 9:2, 9:1 და 9:0.

ყოვლისმცოდნე ფეხბურთის სპეციალისტები კი საგანგებოდ შეუდგნენ ვახვახიშვილის გუნდის წარმატებათა საიდუმლოებების უაღრესად ღრმა მეცნიერულ შესწავლას.

ზ. რატიანი.



## კალათბურთი

**მადრიდი.** აქ გამართული შესარჩევი ტურნირის შემდეგ ევროპის ჭაბუკ კალათბურთელთა ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ ესპანეთისა და საბერძნეთის გუნდები. ესპანელ კალათბურთელთა წარმატება კანონზომიერია, ვინაიდან ამ ქვეყნის ჭაბუკები მუდამ მოწინავე ადგილზე არიან ევროპის ტურნირებში. საბერძნეთის გუნდის გასვლას ფინალში მიმომხილველები სენსაციად მიიჩნევენ.

**პრაღა.** ევროპის კალათბურთელი ქალები გულმოდგინედ ემზადებიან კონტინენტის მომავალი ჩემპიონატისთვის. ამ დღეებში ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში გაიმართა კიდევ ერთი სპარინგ-მატჩი ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის ნაკრებ გუნდებს შორის. მასპინძლებმა გაიმარჯვეს საკმაოდ დიდი ანგარიშით — 99:53 (57:23). ადგილობრივი პრესა დიდ იმედებს ამყარებს თავის ეროვნულ გუნდზე, რომელმაც წლევანდელი სეზონი რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვებით დაიწყო. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ქალთა კალათბურთი ჩეხოსლოვაკიაში ხელახალ აღმავლობას განიცდის.



## ლოუს „მეორე ახალგაზრდობა“

დ. ლოუ, რომელიც თავის დროზე „ოქროს ბურთის“ ლაურეატი იყო, ინგლისელ მიმომხილველთა აზრით, ახლა მეორედ „გაახალგაზრდავდა“. როგორც ცნობილია, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ იფიქრა, რომ ვეტერანი მას აღარ გამოადგებოდა და გაყიდა იგი. მეორე ლიგაში ცოტა ხანს თამაშის შემდეგ გამოჩენილი შოტლანდიელი ფეხბურთელი ფორმაში შევიდა და ისევ დაუბრუნდა ქალაქ მანჩესტერს, ოღონდ არა ძველ გუნდს: მან თამაში დაიწყო „მანჩესტერ სიტიში“ და მალე — შოტლანდიის ნაკრებშიც.

შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელს ვ. ორმონდს მიაჩნია, რომ გამოცდილი ოსტატი მსოფლიო პირველობის დროს გუნდისთვის ძალიან სასარგებლო იქნება.

## მძლეოსნობის ახალი ამბები

**ჰელსინკი**, 29 აპრილი. მინსკელი ვ. მერკუშინის გამარჯვებით დამთავრდა ფინეთის დედაქალაქის „კაივოპუისტოს“ პარკში გამართული 25-კილომეტრიანი საერთაშორისო გარბენი. გამარჯვებულის შედეგია 1:14.46,0.

**იუჯინი** (აშშ), 29 აპრილი. აშშ-ს ორი რეკორდი დაამყარა სტაიერმა ს. პრეფონტეინმა. 10 კილომეტრზე რბენაში მან 27.43,6 აჩვენა, მანამდე კი 6 მილის გავლას 26.51,8 მოანდომა. პირველი შედეგი მეხუთეა მძლეოსნობის ისტორიაში, ხოლო მეორე რ. კლარკის მსოფლიო რეკორდზე მხოლოდ 5,8 წამით უარესია.

**დე-მოინი**, 29 აპრილი. მაღალი შედეგით აღინიშნა აშშ-ს ამ ქალაქში გამართული სტუდენტ მძლეოსანთა ასპარეზობა. ნიგერიელმა ჩ. ეიზუელენმა სამხტომში 16 მეტრი და 82 სანტიმეტრი დაძლია.

**უოლნატი** (კალიფორნია), 29 აპრილი. აქ გამართულ შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდსმენმა, ამერიკელმა ა. ფოიერბახმა ბირთვი 21,33 მეტრზე ჰკრა.

გაზეთ „ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 2 მაისს.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

## 7 მაისს

საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში (თბილისი. გრიბოედოვის ქ. № 19) გაიმართება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგშია: „განთიადის“ ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ 1973 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები და სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისა და XXI ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისთვის საზოგადოების ამოცანების შესახებ“.

დასაწყისი 12 ს.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ჭადრაკი.** ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). 2-20 მაისი. საქართველოს ვაჟთა XXXV პირველობა. 2 მაისს — V ტური, 3-ში — VI, 4-ში — VII; 2-22 მაისი. საქართველოს ქალთა XXXI პირველობა. 2 მაისს — V ტური, 3-ში — VI, 4-ში — VII. დასაწყისი 16 ს. 30 წთ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04572